* * *

თამუნია ქავთარაძეს

პირმოღუშული სახითა

აქ მრავალს ჩაუვლია ...

შენ ამ ქალაქში რა გინდა,

პატარა თამუნია?!

ქალაქი - დიდი იმედის!

ქალაქი - ტყუპი მექის!

დადიან ბრძნული ხველებით

ვეტერანები ჭლექის ...

მთაში ირემი აყვირდა

ტირილი გაურია ...

შენ ამ ქალაქში რა გინდა,

პატარა თამუნია?!

სად უცხო ჭალაკი არი

და სად ვიწროში ბღავის

არაგვი - არაგვიანი,

იქ უნდა კრეფდე ყვავილს!...

პირმოღუშული სახითა

აქ მრავალს ჩაუვლია ...

შენ ამ ქალაქში რა გინდა,

პატარა თამუნია?!

ანანურზეით სოფელი ...

წელში გაჩრილი წალდით

ტყეს წავა მამა მშობელი -

მუშტისტოლაა დარდით ...

მთაში ირემი აყვირდა

ტირილი გაურია ...

შენ ამ ქალაქში რა გინდა,

პატარა თამუნია?!

1960